უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის ინფორმაციის მიწოდების წესი

1. ყველა მასალა, რომელიც გამოიყენება უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის უნივერსიტეტს გარეთ გასავრცელებლად, გავლენას ახდენს უნივერსიტეტის იმიჯსა და მისი სახელის აღქმაზე, წარმოადგენს უნივერსიტეტის საიმიჯო მასალას, რომლის მომზადებისა და გავრცელების პროცედურებს განსაზღვრავს ეს წესი.
2. უნივერსიტეტის საიმიჯო მასალებს მიეკუთვნება:

   ა) პრესრელიზები, განცხადებები, ბუკლეტები, პოსტერები, სასუვენირო მასალა, რომელიც უნივერსიტეტის სახელის და მისი ცნობადობის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული;

   ბ) სამეცნიერო პუბლიკაციები, წიგნები, სახელმძღვანელოები, სასწავლო ლიტერატურა;

   გ) მედიაში უნივერსიტეტის პერსონალის, ფაკულტეტის, სკოლის, ინსტიტუტის ან ცენტრის სახელით გამოქვეყნებული მასალები, ტელევიზიისა და რადიოსთვის მიცემული ინტერვიუები და საექსპერტო კომენტარები.
3. პრესრელიზები, განცხადებები, ბუკლეტები, პოსტერები, სასუვენირო მასალა, რომელიც უნივერსიტეტის სახელისა და მისი ცნობადობის გასაუმჯობესებლად არის გამიზნული, მზადდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.
4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნა სასუვენირო და საიმიჯო პროდუქციის დამზადების შესახებ უნდა გაეგზავნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. სასუვენირო და საიმიჯო პროდუქციის დამზადების შესახებ მოთხოვნას უნდა დაერთოს ის ინფორმაცია და ვიზუალური მასალა, რომელიც უნდა განთავსდეს საიმიჯო თუ სასუვენირო პროდუქციაზე. პროდუქციის დიზაინს შეიმუშავებს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დიზაინერი.
5. უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციის გამოცემამდე (დაბეჭდვამდე) ორი კვირით ადრე ავტორი სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციის გამოცემის (დაბეჭდვის) შესახებ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციის დასახელებას, მოცულობას, ტირაჟს და შინაარსის მოკლე აღწერას.
6. სამეცნიერო ლიტერატურის, პუბლიკაციის ყდის დიზაინი უნდა შეთანხმდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან, რომელიც ვიზირებით ადასტურებს ყდის პროექტს.

7. თუკი უნივერსიტეტის პერსონალის მედია-საშუალებებში პრეზენტაცია ეხება უნივერსიტეტს, აუცილებელია პერსონალის მიერ ფაქტობრივი ინფორმაციის გადამოწმება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან.
8. ინტერნეტში უნივერსიტეტის ან მისი სტრუქტურული ერთეულის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში (facebook, Youtube, etc.), ეს ინფორმაცია გამოქვეყნებამდე უნდა იყოს მოწოდებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.